სექტორის მიმოხილვა

ზოგადი ტენდენციები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2025 წლის მეორე კვარტლის ეკონომიკური მიმოხილვა გამოაქვეყნა. გამოცემის თანახმად, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და მეთევზეობის სექტორებში რეალური მშპ 2024 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 4.6%-ით შემცირდა. ამასთან, 2025 წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობის წილმა ქვეყნის მთლიანი მშპ-ის 4.5% შეადგინა.

სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ტენდენციები უარყოფითი იყო. 2025 წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა -3.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც სექტორიდან კაპიტალის გადინებაზე მიუთითებს. ამავდროულად, სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სხვა ეკონომიკურ სექტორებთან შედარებით დაბალი რჩება: 2025 წლის პირველ კვარტალში მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ -2%-ს შეადგენს.





წყარო: საქსტატი, 2025

2025 წელს რთველი აგვისტოში დაიწყო და საქართველოს მთავრობამ გააგრძელა ყოველწლიური ყურძნის მოსავლის სუბსიდირების პრაქტიკა. განსხვავებით წინა წლებისგან, სუბსიდიები აღარ გაიცემა კერძო ღვინის კომპანიებისთვის.

სახელმწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანია" შეიძენს იმ ყურძენს, რომლებზეც არ არის მოთხოვნა კერძო სექტორიდან. კომპანია შეიძენს ყურძენს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ფიქსირებულ ფასად. კახეთის რეგიონში საფერავის ჯიშის ყურძნის ფასი 1.50 ლარი იქნება კგ-ზე. ყურძნისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონით ნებადართული სხვა სავაჭრო ჯიშის ყურძნის ფასი კი 1.20 ლარი იქნება კგ-ზე. ამავდროულად, არასტანდარტული ყურძენი, რომლის შაქრიანობა არ აღემატება 18 პროცენტს, ასევე დაზიანებული ან დაავადებული ყურძენი ეღირება 1 ლარი კგ-ზე.

რაჭა-ლეჩხუმი სახელმწიფო უზრუნველყოფს 4 ლარის სუბსიდიას კილოგრამზე როგორც ალექსანდროულის, ისე მუჯურეთულის ყურძნისთვის, რომელსაც ღვინის მწარმოებლები შეიძენენ.



წყარო: ღვინის ეროვნული, 2025; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
*შენიშვნა: * 2025 წლის მონაცემები მოპოვებულია 2025 წლის ოქტომბერში*

ფასების მიმოხილვა

ადგილობრივი ფასები

2025 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში ქვეყანაში ფასების დონე თვიურ ჭრილში სტაბილური იყო გაზაფხულის პერიოდთან შედარებით. კერძოდ, სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) ივნისში უცვლელი დარჩა 2025 წლის მაისთან შედარებით. ივლისში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 0.2%-ით შემცირდა, ხოლო აგვისტოში ინდექსი 0.3%-ით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით.

2025 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ყოველთვიური ფასებმა, სურსათის ფასების ინდექსის (FPI) მიხედვით, განიცადა ცვლილებები. 2025 წლის ივნისსა და ივლისში საკვების ფასები 0.4%-ით და 0.4%-ით შემცირდა წინა თვესთან შედარებით. ხოლო შესაბამისი თვიური ცვლილება აგვისტოში პოზიტიური იყო და 0.1% შეადგინა.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (ივნისი-აგვისტო 2025)



სურსათის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (ივნისი-აგვისტო 2025)



წყარო: საქსტატი, 2025; შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო

წლიურ ჭრილში სამომხმარებლო ფასების ინდექსი იზრდებოდა 2025 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში. ივნისში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 4.0%-ით გაიზარდა 2024 წლის ივნისთან შედარებით. ივლისში მაჩვენებელი 4.3% იყო, ხოლო აგვისტოში – 4.6%.

2025 წლის აგვისტოში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები წლიურ ჭრილში შესამჩნევად, 10%-ით გაიზარდა, რაც სამომხმარებლო ფასების ინდექსზე (CPI) 3.35 პროცენტული პუნქტით აისახა. ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ საკვებ პროდუქტებში:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ხილი და ყურძენი (15.3%↗)

ზეთები და ცხიმები (14.8%↗)

ყავა, ჩაი და კაკაო (13.1%↗)

წყარო: საქსტატი, 2025

სურსათის ფასებზე: სასურსათო პროდუქტებზე ფასების უმთავრესი ცვლილებები

წლიურ ჭრილში ყველაზე მაღალი ფასების ზრდა შემდეგ სასურსათო კატეგორიებში დაფიქსირდა: ლიმონი (99%), ქლიავი (82%), ატამი (62%), კაკაო (28%) და ყურძენი (25%). ლიმონის ფასებზე წლიური ზრდა დაიწყო 2024 წლის აგვისტოდან, თავის მაქსიმუმ ღირებულებას მიაღწია 2025 წლის ივლისში და წლიური ზრდა გაგრძელდა 2025 წლის აგვისტოშიც. ქლიავის ფასები მერყეობდა 2025 წლის ივნისიდან, თუმცა აჩვენებდა ზრდის საერთო ტენდენციას. ატმის შემთხვევაში ფასები კლებულობდა 2024 წლის აგვისტოდან; თუმცა ტენდენცია შეიცვალა 2025 წლის ივნისში, ფასებმა უმაღლეს დონეს მიაღწია 2025 წლის აგვისტოში. კაკაოს ფასები კლებადი ტენდენციიდან ზრდად ტენდნეციაში გადავიდა 2024 წლის ივნისში და მას შემდეგ სტაბილურად იზრდება. რაც შეეხება ყურძენს, წლიური ფასების ზრდა დაიწყო 2025 წლის ივნისში და მაქსიმალურ ღირებულებას მიაღწია 2025 წლის აგვისტოში.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სასურსათო პროდუქტის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა, სხვა პროდუქტების ფასებში აღინიშნა საგრძნობი კლება. ტოპ ხუთი პროდუქტი, რომლებზეც ფასების შემცირება დაფიქსირდა, იყო: პომიდორი (-33%), კიტრი (-31%), ბადრიჯანი (-16%), ბრინჯი (-16%) და წიწაკა (-12%).

ამ პროდუქტებზე ფასების შემცირების ძირითადი მიზეზი არის მაღალი საბაზისო ეფექტი – ამ საქონელზე ფასები განსაკუთრებით მაღალი იყო 2024 წლის აგვისტოში, რის შედეგადაც 2025 წლის აგვისტოში დაფიქსირდა წლიური შემცირება.



წყარო: საქსტატი, 2025

საერთაშორისო ფასები

2025 წლის ივნის-აგვისტოში საერთაშორისო ფასების ზრდის ტენდენცია გაგრძელდა. 2025 წლის აგვისტოში სურსათის ფასების ინდექსი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, ზომიერად, 6.6%-ით გაიზარდა 2024 წლის აგვისტოსთან შედარებით. ფასები გაიზარდა მცენარეული ზეთების (24%), რძის პროდუქტებისა (16%) და ხორცის (4%) ქვეინდექსებზე. ამავდროულად, წლიურ ჭრილში ფასები შემცირდა შაქრისა (9%) და მარცვლეულის (4%) ქვეინდექსების შემთხვევაში.

ამასთან, FAO-ს სურსათის ფასების ინდექსის ზრდა განპირობებული იყო განსხვავებული საბაზრო ფაქტორებით. მცენარეული ზეთების ფასების ინდექსი მკვეთრად გაიზარდა და მიაღწია უმაღლეს დონეს ბოლო სამი წლის განმავლობაში, რაც განპირობებულია ძლიერი გლობალური მოთხოვნისა და შეზღუდული მიწოდების ფაქტორებით. რძისა და ხორცის ფასების ინდექსებიც გაიზარდა ძლიერი საიმპორტო მოთხოვნის შედეგად, ისეთ მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორიცაა აშშ და ჩინეთი.



წყარო: FAO, 2025

ვაჭრობის მიმოხილვა

2025 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს მთლიანმა ექსპორტმა 4,448 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, 2024 წლის იანვარ-აგვისტოს 4,169 მლნ. აშშ დოლართან შედარებით, რაც წლიურ 6.7%-იან ზრდას შეესაბამება. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო ექსპორტმა შედარებით დაბალი 3.3%-იანი ზრდა აჩვენა (2024 წლის იანვარ-აგვისტოს 1,081 მლნ. აშშ დოლარიდან 2025 წელს 1,117 მლნ. დოლარამდე). მთლიანობაში, სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 2024 წელს დაფიქსირებული 26.0%-დან 2025 წელს 25.1%-მდე შემცირდა.

საქართველოს მთლიანმა იმპორტმა მთლიან ექსპორტთან შედარებით ოდნავ მაღალი ზრდა აჩვენა – 2024 წლის 10,764 მლნ. აშშ დოლარიდან 2025 წლის 11,953 მლნ. აშშ დოლარამდე (11.0%). სასოფლო-სამეურნეო იმპორტი ამ ტენდენციას მიჰყვა და გაიზარდა 15.4%-ით – 2024 წლის 1,388 მლნ. აშშ დოლარიდან 2025 წლის 1,601 მლნ. აშშ დოლარამდე. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო იმპორტის წილი მთლიან იმპორტში ოდნავ გაიზარდა 2024 წელს 12.9%-დან 2025 წელს 13.4%-მდე.

მთლიანობაში, როგორც სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის, ისე იმპორტის ზრდა ზაფხულის პერიოდშიც გაგრძელდა. 2025 წლის ივნის-აგვისტოს 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებისას, სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი 3.3%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი – 15.4%-ით.





წყარო: საქსტატი, 2025
შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათს

მთლიანი ექსპორტის ფართო ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში განხილვისას, წმინდა ზრდა, გამომდინარეობს პირველადი საკვებისა და სასმელების ექსპორტის აბსოლუტური მაჩვენებლის ზრდიდან (რომელმაც 63 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა), და არა გადამუშავებული საქონლიდან, რომელიც აბსოლუტურ მაჩვენებელში ზომიერი 9 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა.

საბოლოო მომხმარებლის მიხედვით დიფერენცირებისას, ყველაზე მაღალი, 34%-იანი ზრდა დაფიქსირდა შინამეურნეობების მოხმარებისთვის განკუთვნილი პირველადი საკვებისა და სასმელების ექსპორტში (ზრდამ აბსოლუტურ მაჩვენებელში 56 მლნ აშშ დოლარი შეადგინა). მას მოჰყვა ინდუსტრიული გამოყენებისთვის განკუთვნილი პირველადი საკვებისა და სასმელების ექსპორტის 12%-იანი ზრდა (თუმცა, აბსოლუტურ მაჩვენებელში ზრდა 7 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა). გარდა ამისა, შინამეურნეობების მოხმარებისთვის განკუთვნილი გადამუშავებული საკვებისა და სასმელების ექსპორტი 1%-ით გაიზარდა, და ბოლოს, ძირითადად ინდუსტრიული გამოყენებისთვის განკუთვნილი გადამუშავებული საკვებისა და სასმელების ექსპორტი 60%-ით შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ გადამუშავებული საექსპორტო საქონელი შემცირდა და რომ ქართული ექსპორტის უმეტესობა შინამეურნეობების მოხმარებაზეა ორიენტირებული. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ექსპორტიდან 92% მიმართულია შინამეურნეობების მოხმარებისკენ, ხოლო მხოლოდ 8% არის განკუთვნილი ინდუსტრიული გამოყენებისთვის. გადამუშავებული საქონლის შემცირება დამაფიქრებელია, რადგან ის მიუთითებს, რომ ნაკლები დამატებული ღირებულება რჩება ქვეყნის შიგნით.



წყარო: საქსტატი, 2025
შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათს

ISET – თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა

ავტორები: ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
გიორგი შავრეშიანი giorgi.shavreshiani@iset.ge
თათია ხიდაშელი tatia.khidasheli@iset.ge
მარიამ ლობჯანიძე m.lobjanidze@iset.ge